ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და იურიდიული კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N14

სხდომის ჩატარების დრო:
14 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე თეა ჯუღელი, იურიდიული კომისიის წევრები: დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბექა ქებულაძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

სულ: 21 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია.**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლები-**ლაშა გვენეტაძე** და **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** საკრებულოს წევრები: **მარეხი ნიჟარაძე, ელეონორა არჩაია,** საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი **ნოდარ ჯიქია,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა**

საღინაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იუზა უგულავა,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ეკოლოგიისა და მყარი ნარჩენების განყოფილების ხელმძღვანელი **არჩილ ტყაბლაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვრის დადგენის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა N19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა N29 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა N33 შენობის სამხრეთით, ელექტრონული აუქციონის წესით(სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადაოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი N404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული N21 ნასყიდობის ხელშეკრულებითგათვალისწინებული საინვესტიციო პირობის ცვლილების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, თუ შესაძლებელია გაგვაცნოთ ტარიფის გაზრდამდე არსებული ფინანსური მდგომარეობა, როგორც ვიცით ეს ზრდა ნაწილობრივ საწვავის ფასის მატებასთანაც არის დაკავშირებული და ყველა დეტალი, რაც უკავშრდება ამ საკითხს, შესაძლებლობის ფარგლებში განგვიმარტეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „საუბრის თემას ცოტა შორიდან მოვუვლი და საუბარს დავიწყებ იმით თუ როგორ დავიწყეთ ნელ-ნელა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების გატარება, ამისათვის ბაზარი ამ ეტაპზე მზად არის, შევქმენით კომპანია და პირველი ნაბიჯი იყო ავტობუსების ჩანაცვლება, რომელიც მოგეხსენებათ განვახორციელეთ, შემდეგი პროცესია თანმიმდევრობით მიკროავტობუსების ჩანაცვლება, რისთვისაც დღევანდელი გადასახედიდან საჭიროა კიდევ 70 მიკროავტობუსის შეძენა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. დღეის მდგომარეობით ერთი ადამიანის მგზავრობის თვითღირებულება 1,2 ლარია, დაახლოებით თვეში ვხარჯავთ 100 ტონა საწვავს და ხელფასს გავცემთ 260 000 ლარს, წვრილმანი ხარჯები გვიჯდება ჯამში 650 000 ლარამდე, ქუთაისის მასშტაბით ამ კომპანიას დღეში გადაყავს 65 00 ადამიანი, აქედან 28 000 ავტობუსების, ხოლო 37 000-მიკროავტობუსის საშუალებით გადაადგილდება, რომელიც კერძო სუბიექტებს წარმოადგენენ. 28 000 დან 3-4 ათასი კაცი არის შეღავათების მქონე და დარჩენილი 9 000 კაციდან დაახლოებით 5000 ადამიანი გადასახადს არ იხდის მგზავრობის დროს. ამის აღსაკვეთად დავამატებთ კონტროლიორებს და ახლა თუ დაჯარიმება არ ხდება და სატესტო რეჟიმში მუშაობენ, შემდეგ ნელ-ნელა დაიწყება სამართალდამრღვევი მგზავრისათვის ჯარიმის დაკისრება. თვეში ბიუჯეტში შემოდის საშუალოდ 200 000 ლარი, ტარიფის ზრდით მიღებული შემოსავლების მოხმარება დაგეგმილი გვაქვს ახალი მიკროავტობუსების შეძენის კუთხით. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ტრანსპორტი მოგებაზე ორიენტირებული, ერთადერთი მომგებიანი ტრანსპორტი მეტროა, დანარჩენი სუბსიდირებაზეა ყველგან."

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო თემას შევეხები, მაინტერესებს რა საშეღავათო პაკეტების შეთავაზება შეგვიძლია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის და ასევე ტურისტებისათვის, რომელიც ასევე მოგებას მოუტანს ჩვენს ქალაქს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „პირველ რიგში მინდა ავღნიშნო, რომ არც ერთ ქალაქს არ აქვს ისეთი საშეღავათო პაკეტები როგორიც ჩვენ შევთავაზეთ მოსახლეობას, დაახლოებით 30 000 ადამიანს შეეხო ეს შეღავათები და კიდევ ვაპირებთ დავამატოთ გაკვეული ჯგუფები ამ ჩამონათვალს. ასევე ვფიქრობთ გავითვალისწინოთ ის ადამიანები, რომელთაც დღეში რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ და დავაწესოთ გარკვეული დრო, საშეღავათო პერიოდად. რაც შეეხება ტურისტებს, მათთვის შეღავათები დაწესებული არ გვაქვს, ამ ეტაპზე იცით რომ თბს ბანკის ბარათებია მხოლოდ გამოყენებადი აღნიშნულ ტრანსპორტში, ჩვენ ვგეგმავთ, რომ თვითონ კომპანიამ დაამზადოს სამგზავრო ბარათები მასზე არსებული საშეღავათო პაკეტებით, ეს იქნება 1 კვირიანი, 1 თვიანი თუ 1 წლიანი და ნებისმიერ ადამიანს, ტურისტი იქნება თუ სხვა ქალქში მცხოვრები, შეეძლება შეძენა და მისით სარგებლობა, ბარათი იქნება უფასო მხოლოდ მასზე დატანებული სამგზავრო თანხის ოდენობას გადაიხდის შემძენი."

კომისიის წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ჩემი წინადადება იქნება დაწვრილებით გავაცნოთ ყველას ჩვენს მიერ მიღებული დადგენილებით განსაზღვრული ჩამონათვალი იმ პირებისა, რომელიც სარგებლობენ შეღავათებით."

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „წინა სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ საკითხი მოსაკრებლის შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ

ძალაში შესული არ არის, რადგან მთავრობის ადმინისტრაციამ დაგვიბრუნა გარკვეული შენიშვნებით. თუ შეიძლება შევეხოთ ამ თემასაც."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „რა თქმა უნდა არ გვსურს ამ ორმა საკითხმა ერთმანეთი გადაკვეთოს, ამიტომ მე კანცელარიას ვესაუბრე, გველოდებიან რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, ტარიფის გაზრდის შემთხვევაში მოსაკრებელიც გაიზრდება კერძო კომპანიებისათვის და იანვარში შემოვიტანთ ახალ მოსაკრებელს, ეს შეეხება ცალკეულ ხაზებს, რომლებიც დარჩება კერძო კომპანიებს."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ჩვენ ვსაუბრობთ მუნიციპალურ ტრანსპორტზე რომლითაც ვემსახურებით მოსახლეობის გარკვეულ პროცენტულ მაჩვენებელს, დანარჩენს ემსახურებიან მიკროავტობუსები რომლებსაც კერძო კომპანიები ოპერირებენ და ისინი დასაქმებულნი არიან ხელშეკრულებით, მე როგორც ვიცი ხელშეკრულებაში იყო მონაცემი, რომელიც მათ საშუალებას აძლევდათ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, გაეზარდათ ტარიფი თუ საწვავის ფასი გაიზრდებიდა, როგორ ფიქრობთ, ჩვენს მიერ ტარიფის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ გვაქვს კომუნიკაციის საშუალება ზემოთ ნახსენებ კერძო კომპანიებთან და რა არის მათი მოსაზრება ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით, ეთანხმებიან 0,8 ლარამდე გაზრდას, ან ფიქრობენ უფრო მეტს თუ ნაკლებს, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება მათ უფრო მეტი მოთხოვნა გაუჩნდეთ თანხის ზრდასთან დაკავშირებით. თუ მოხდა კომუნიკაცია მათთან ამ თემაზე, ან ხომ არ ჯობია რომ დავგეგმოთ, შევხვდეთ კერძო გადამზიდავებს და ერთად გავიაროთ ეს თემა, რათა ნათელი იყოს მათი პოზიცია ჩვენთვისაც?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მათ გააჩნიათ მემორანდუმი მერიასთან, მათ შეეძლოთ დაეყენებინათ საკითხი მგზავრობის ფასის ზრდასთან დაკავშირებით, ჩვენს გარეშე ისინი ფასს ვერ გაზრდიან, სამი წელია კბილით გვიჭირავს ეს თემა, რომ მოთხოვნა არ წამოეყენებინათ, თუმცა წარმოდგენილი დადგენილების მიღების შემთხვევაში ისინიც გავლენ იმ ფასზე, რასაც დავადგენთ ავტობუსებისათვის. თუმცა საშეღავათო პაკეტებით სარგებლობა მხოლოდ აბტობუსით მგზავრობისას იქნება შესაძლებელი და ჩამოგითვლით იმ ჯგუფებს ვინც ამ ჩამონათვალში შედის: შშმ პირები, ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული პირები, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები თანმხლები პირებითურთ, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, სოციალურად დაუცველ ერთიან ბაზაში მყოფი ყველა მოქალქე იმგზავრებს 100% უფასოდ, ბაგა-ბაღის თანამშრომლები, სტუდენტები იმგზავრებენ 50%-იანი შეღავათით. "

კომისიის წევრი ბატონი **თედო მესხი:** „საშეღავათო სუბიექტებში პენსიონერები არ შედიან, რამდენად შეძლებენ 250-300 ლარით გაუმკლავდნენ გაზრდილ ტარიფს, წამლებს და ასე შემდეგ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ვმუშაობთ ამაზეც, რომ პენსიონერებიც არ დარჩნენ დაზარალებულები, დავაწესებთ საშეღავათო დროს და ამ დროის განმავლობაში ისინი თანხას რამდენჯერმე არ გადაიხდიან, ასევე ვფიქრობთ შეღავათებზე მოსწავლეებისათვის, რაც შეეხება უბილეთო მგზავრების დაჯარიმების თემას, ჯერჯერობით ჯარიმები არ დაგვიწერია, კონტროლიორები აფრთხილებენ მგზავრებს და ასე ვთქვათ სატესტო რეჟიმში ვართ და ამოქმედდება ეს სისტემაც მალე."

კომისიის წევრი ბატონი **კახაბერ გაბუნია:** „ხშირად მიწევს მგზავრობა ტრანსპორტით და შევსწრებივარ რაიონიდან ჩამოსულ ადამიანებს, რომლებსაც მგზავრობის დროს პრობლემა ექმნებათ სამგზავრო კარტის უქონლობის გამო, თანხობრივად ვეღარ იხდიან და ეს მათთვის ბარიერს წარმოადგენს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „სწორად ბრძანეთ და ამიტომ ავღნიშნე წეღან, რომ მინდა თბს ბანკისაგან აღარ შევიძინოთ მომსახურება, კომპანიამ თვითონ დაამზადოს აღნიშნული სამგზავრო ბარათები, რომლებიც მძღოლებთან იქნება და ყველას შეეძლება შეიძინოს. განსხვავებული ლიმიტით, მგზავრი გადაიხდის მხოლოდ მასზე დატანებულ თანხას და ბარათი უფასო იქნება, ამ თემაზე ვმუშაობთ."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „რეალურად ჩვენ რაც ამ თემაზე დღეს ვიმსჯელეთ, აქ გვესწრება საჯარო სექტორის წარმომადგენელი და დამეთანხმება, ამდენი ინფორმაცია მოქალაქეების უმრავლესობისათვის ცნობილი არ არის, რა გაუმჯობესდა, რა უჯდება ბიუჯეტს და ასე შემდეგ. ეს შეიძლება ჩვენი ნაკლოვანებაც არის, მეტი ინფორმაცია და მეტი ანგარიშვალდებულება გვჭირდება მოსახლეობასთან და ნამდვილად არ არის საკმარისი რასაც ჩვენ ვაკეთებთ, საჭიროა ეს ინფორმაცია დეტალურად გავაცნოთ მოსახლეობას, ასევე კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ კერძო კომპანიების, გადამზიდავების აზრი ამ თემაზე მეტად მნიშვნელოვანია, როგორც მოქალაქეებისათვის ისე ჩვენთვის, როგორც გადაწყვეტილების მიმღებისათვის. ჩემი წინადადებაა კიდევ ერთხელ გავიაროთ და განვსაზღვროთ, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ადმინისტრირება და ამ ნაწილში იქნებ წარმოადგინოთ დამატებითი მოცემულობა, რომ ადმინისტრირების გაუმჯობესების პირობებში, რამდენით მეტი შემოსავლის მიღება შეიძლება და ვიმსჯელოთ იმ საკითხზე, მოწყვლად ჯგუფებს კიდევ როგორ დავუწესოთ დამატებითი შერავათები, აქედან გამომდინარე შემოვდივარ წინადადებით, ამ ანალიზის შემდეგ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ საკითხს, მას შემდეგ რას მოქალაქეებს ექნებათ სწორი ინფორმაცია. ეს საკითხი გადავდოთ სამომავლო განხილვისათვის სრული ფინანსური ანალიზისა და ინფორმაციის გავრცელების და კომუნიკაციის შემდეგ მივუბრუნდეთ ამ თემას და გამოვიტანოთ გადაწყვეტილება."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაგდა კოსტავა:** „ჩემს აზრს დავაფიქსირებ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა თუ იქნება იგივე სოცილური ქსელის საშუალებით, რომ დაწვრილებით გაიგონ გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ."

კომისიის წევრი,- ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ბატონო იუზა საბოლოო ჯამში ტრანსპორტი რომ არ იყოს სუბსიდირებული და გავიდეთ მოგებაზე არის თუ არა ამის შესაძლებლობა, რა ღონისძიებების გატარეებაა საჭირო, გეგმავთ თუ არა ელექტრო მანქანების შეძენას ან სხვა რაიმე სახის ღონისძიებებს, მივაწოდოთ ინფორმაცია ამ ყველაფრის შესახებ მოსახლეობას თუ არის შესაძლებელი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „დავიწყებ იქიდან, რომ ტრანსპორტის მოგებაზე გასვლა არამარტო ჩვენთან, არამედ უამრავ სხვა ქვეყანაში ვერ ხერხდება, რაც შეეხება ელექტრო ავტობუსების შეძენის საკითხს, დღევანდელი გადმოსახედიდან მათი შენახვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დიზელის მოხმარების ავტობუსების, ჩვენ არ გვაქვს მათი შეკეთების სერვისი, დამერწმუნებით ეს

ძალიან რთულია. 500 ავტომობილი მაინც უნდა იყოს, რომ აღნიშნული სერვისი გაჩნდეს საქართველოში, ამიტომ მიუხედავად იმისა რომ ეს პროექტი ფინანსთა სამინისტროში ჩვენ წარვადგინეთ, ანალიზმა აჩვენა, რომ ბათუმში ორჯერ მეტი ხარჯი აქვთ ვიდრე დიზელის ავტომობილებს. 2019 წელს ჩავატარეთ კვლევა, თუ იყო ბაზარი მზად იმისათვის რომ მომსახურეობა გვეყიდა, რათა სრულად მუნიციპალური გამხდარიყო ტრანსპორტი, მაგრამ ავტომობილები უნდა ყოფილიყო იმ წლის და არ მოიძებნა ასეთი კომპანია, რომელსაც ჩვენ დავუკვეთავდით 350 მიკროავტობუსს და 60 ავტობუსს, რაც მითითებული იყო ხელშეკრულებაში, ანუ აღმოჩნდა, რომ ბაზარი ამისთვის მზად არ იყო და ამიტომ მოგვიწია ასეთი არაპოპულარული გზით წასვლა, რაც გავაკეთეთ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დადგენილების პროექტი „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" გადადებულ იქნეს სამომავლო განხილვისათვის მისი ფინანსური ანალიზის, რიგი დეტალების დაზუსტებისა და ძირეული შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვრის დადგენის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ჩემი სუბიექტური აზრია, აქაც გვაქვს დასაზუსტებელი დეტალები და არსებობს ბევრი კითხვა, რაც შესაძლოა საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყოს, წინა საკითხის მსგავსად უპრიანი იქნება ეს საკითხიც გადაიდოს ძირეულად შესწავლის მიზნით."

კომისიის წევრი ბატონი **თედო მესხი:** „ნაყიდი მაქვს პარკირების ერთ წლიანი უფლება, მაგრამ ამ წუთშიც რომ გავიდეთ ქალაქში ვერ შევძლებ გაჩერებას ვერსად, ფაქტობრივად არ არის ადგილი, ეს კიდევ მეორე მწვავე პრობლემაა."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ამ თემასთან დაკავშირებითაც ავღნიშნავ, რომ გამოვიყენოთ საზოგადოების ჩართულობის ის მექანიზმი რაც ჩვენს ხელთაა, ეს იქნება მრჩეველთა საბჭო თუ სხვა, დააფიქსირონ მათაც საკუთარი მოსაზრება და ერთობლივად მივიღოთ გადაწყვეტილება."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვრის დადგენის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" გადადებულ იქნეს სამომავლო განხილვისათვის მისი ფინანსური ანალიზის, რიგი დეტალების დაზუსტებისა და ძირეული შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ეკოლოგიისა და მყარი ნარჩენების განყოფილების ხელმძღვანელმა **არჩილ ტყაბლაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „ვფიქრობ მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხიც იგივე არგუმენტებით გადავდოთ სამომავლო განხილვისთვის, უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვების და ძირეულად შესწავლის მიზნით, რადგან მოკლე ვადებში ვერ მოხდა აღნიშნული საკითხის დეტალების დაზუსტება, ეს საკითხი ძალიან სენსიტიურია, ბატონმა ირაკლიმ კარგი წინადადება დააყენა ჩართულობის მექანიზმები ავამოქმედოთ მაქსიმალურად, ჩვენ დავაანონსეთ იურიდიული კომისიის გასვლითი სხდომა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აზრი, თუმცა მოწვევა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს გაეგზავნება, ასევე მოსახლეობასთან გამართავს იურიდიული კომისია შეხვედრას და ტრანსპორტის თემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი განსახილველი თემა იქნება რათქმაუნდა, რასაც შევძლებთ, მაქსიმალურად დავეხმაროთ მოსახლეობას.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ გადადებულ იქნეს სამომავლო განხილვისათვის მისი ფინანსური ანალიზის, რიგი დეტალების დაზუსტებისა და ძირეული შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „აღნიშნულ ობიექტზე ეს ორგანიზაცია გეგმავს მრავალფუნქციური სტუდიის შექმნას, როგორც ხალხური და ქალაქური სიმღერების, ასევე გალობა, ვოკალი და მეტყველების კულტურის შესასწავლად, 1383 კვ.მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთია წარმოდგენილი, ხოლო შენობა-ნაგებობა Nარის 840 კვადრატული მეტრი, თამარ მეფის ქუჩა N97, ეს იყო სახელმწიფო ქონება და გადმოგვეცა საკუთრებაში ჩვენ."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „როგორც ვიცით პროცესში ჩართულია ჩვენი კვარტეტი, თეატრალურის კვარტეტი შვიდკაცა, ტრიო ბალადა, ესენი უწევენ ოპერირებას ამ პროცესს და დარწმუნებული ვარ, ეს დაწესებულება მისცემს ბევრ ბავშვს განვითარების საშუალებას."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, წინააღმდეგი ქალბატონი: ნინო ბიბილეიშვილი, ბატონები: გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე და დავით ბახტაძე) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა N19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა N29 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა N33 შენობის სამხრეთით, ელექტრონული აუქციონის წესით(სასყიდლით, პირობებით), იჯარის**

ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა N19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა N29 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა N33 შენობის სამხრეთით, ელექტრონული აუქციონის წესით(სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადაოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადაოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი N404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული N21 ნასყიდობის ხელშეკრულებითგათვალისწინებული საინვესტიციო პირობის ცვლილების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 17 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი N404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული N21 ნასყიდობის ხელშეკრულებითგათვალისწინებული საინვესტიციო პირობის ცვლილების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და იურიდიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი